ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №17/73

(გამარტივებული შესყიდვა საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის #226 დადგენილების შესაბამისად CPV50100000)

ქ. თბილისი 26 ოქტომბერი 2017 წელი

1. ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ, ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო“ ს/კ 405026877 (შემდგომში - შემსყიდველი), თავმჯდომარის ვახტანგ ჭედიშვილის სახით და მეორეს მხრივ, ს.ს. „ჰიუნდაი ავტო საქართველო“, ს/კ 204478948 (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი დირექტორის დავით გიორგობიანის სახით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ და საქართველოს მთავრობის **2011 წლის 21 იანვრის #26** დადგენილების შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების ობიექტი და საგანი

2.1. ავტომანქანის ტექნიკური მომსახურება დანართი №1-ის შესაბამისად.

2.2. შემსყიდველის მიერ მოთხოვნილ საქონლის და თანმდევი მომსახურების საფასური განისაზღვრება დანართი №1-ში მითითებული ფასთა ცხრილის შესაბამისად. ფასები მოცემულია დღგ-ს გათვალისწინებით.

2.3. ხელშეკრულების დანართი № 1 წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება განისაზღვრება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში და შეადგენს 800 (რვაასი ლარი) ლარს, რომელიც მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადსა და მოსაკრებელს.

4. მიწოდების ვადები და ადგილი

4.1. მიმწოდებელი აწვდის საქონელს შემსყიდველს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4.2. საქონლის მიწოდების ვადებზე შეთანხმება ხდება ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის.

5. ხელშეკრულების ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურების გაწევისას თან დაურთოს თანმხლევი დოკუმენტაცია (დეფექტური აქტი,ინვოისი, დახარჯული ავტო სათადარიგო ნაწილების სია და აშ.).

5.2. მომსახურების გაწევა დასტურდება მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით და ა/ფაქტურით.

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადა

6.1. მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით საქართველოს ეროვნულ ვალუტაში მხარეების მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

6.2. ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად მოწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად, ორმხრივად ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით, ამ ხელშეკრულებით და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე 10 სამუშაო დღის ვადაში.

7. მხარეების უფლება-მოვალეობანი

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.1.1. შემსყიდველ ორგანიზაციას დანთქმულ დროსა და ადგილზე გაუწიოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო მომსახურება, რომელიც აკმაყოფილებს არსებულ სტანდარტებს.

7.1.2. შემსყიდველი ორგანიზაციისათვის მომსახურების გაწევიდან ერთი კვირის ვადაში ხელშეკრულების დანართი №1-ით გათვალისწინებული მომსახურებისას გამოყენებული სათადარიგო ნაწილების ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში შეცვალოს საქონელი მსგავსი დასახელების ტექნიკური პარამეტრების ძირითადი მახასიათებლებისა და საიდენტიფიკაციო მონაცემების შესაბამისი ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონლით.

7.1.3. მის მიერ მომსახურების გაწევის ვადის გადაცილების (მათ შორის უხარისხოდ, არასრული მოცულობით, საჭირო დოკუმენტაციის გარეშე) შემთხვევაში დაეკისროს პირგასამტეხლო გასაწევი მომსახურების ღირებულების 0,02% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

7.1.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია:

7.2.1. მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში აუნაზღაუროს შესრულებული სამუშაოს ჯამური ღირებულება, ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში.

7.2.2. მიმწოდებლისგან მიიღოს მომსახურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

7.2.3. ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს გადაუხადოს პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,02 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ისა.

7.3. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია:

7.3.1. მიმწოდებლისგან მოითხოვოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო მომსახურების (თანმდევი სათადარიგო ნაწილებით) ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და ადგილზე გაწევა.

7.3.2. მოითხოვოს ხელშეკრულების 7.1.2. ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

7.4. თითოეული მხარე ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

7.5. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნის მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

7.6. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით. შეთანხმების შემთხვევაში გადავადებულ პერიოდზე მხარეს არ დაეკისრება პირგასამტეხლო.

7.7. ხელშეკრულების ცალკეულ პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.8. თითოეული მხარე ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

7.9. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირებს მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

8. ფორს-მაჟორული სიტუაციები

8.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების შეუსრულებლობა ან დარღვევა.

8.2. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელსაც აქვს წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი და არა არის დაკავშირებული შემსყიდველი ორგანიზაციის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან. ფორს-მაჟორი შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური უბედურებებით და სხვა გარემოებებით.

8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვა;დებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

9. სხვა პირობები

9.1. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

9.2. მხარეთა შორის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავა წყდება მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხს წყვეტს სასამართლო.

9.3. ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელება დაუშვებელია, თუ იმ ცვლილების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

9.4. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია, მხოლოდ ორივე მხარის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში.

9.5. ორივე მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, აგრეთვე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეები წერილობით აცნობებენ ერთმანეთს.

9.6. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველ ორგანიზაციას, ხოლო მეორე ეგზემპლარი - მიმწოდებელს.

მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების	ს.ს. „ჰიუნდაი ავტო საქართველო“
განვითარების სააგენტო“	საიდენტიფიკაციო კოდი: 204478948
მის: ქ.თბილისი, მიცკევიჩის ქ.№29/29ა	მის: ქ.თბილისი,დ.აღმაშენებლის ხეივანი
საიდენტიფიკაციო კოდი:405026877	მე-12 კმ
მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი	ს.ს. თიბისი ბანკი მარჯანიშვილის ფილიალი
ანგარიში	ანგ.№ GEGE15 TB 11 0000 01 10 467697(lari)
მიმღების ბანკი - სახელმწიფო ხაზინა	
ბანკის კოდიTRESGE22	
ანგარიშის ნომერი №741873459	
_____	_____

	ჰიუნდაი I20 1.4 (მექანიკური გადაცემათა კოლოფი)			
	სათადარიგო ნაწილი /საცხებ საპოხი მასალა/ მომსახურება	**ზომის ერთეული**	**ერთეულის ფასი**	**ერთეულზე მომსახურების ფასი ლარი**
1	კომპიუტერული დიაგნოსტიკა	ცალი	40	40
2	საჭის კალონკის მ/დ	ცალი	175	175
3	საჭის კალონკის აღდგენა	ცალი	175	175
4	აკუმულატორი	ცალი	150	10
5	სუპორსტის შეზეთვა (სმასკა)	ცალი	20	20

*შენიშვნა: * - ით აღნიშნული პოზიცია მოდელს არ გააჩნია.*

შემსყიდველი

ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების

განვითარების სააგენტო“

მის: ქ.თბილისი, მიცკევიჩის ქ.№29/29ა

საიდენტიფიკაციო კოდი:405026877

მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი

ანგარიში

მიმღების ბანკი - სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდიTRESGE22

ანგარიშის ნომერი N741873459,

მიმწოდებელი

ს.ს. „ჰიუნდაი ავტო საქართველო“

საიდენტიფიკაციო კოდი: 204478948

იუ/მის: ქ.თბილისი,დ.აღმაშენებლის ხეივანი

მე-12 კმ

ს.ს. თიბისი ბანკი მარჯანიშვილის ფილიალი

ანგ.№ GEGE15 TB 11 0000 01 10 467697(lari)